საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გველესიანი რევაზ ალექსანდრეს ძე

გველესიანი რევაზ ალექსანდრეს ძე (დ. 25.VI. 1955, ქ. თერჯოლა), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1991).

1978 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1989–2020 სამეცნ.-კვლ. საქმიანობას ეწეოდა ბერლინის, ტიუბინგენის, მიუნხენის, ბონის, ფრაიბურგის, ბრანდენბურგის, ზაარლანდის, პოტსდამის უნ-ტებში. არის თსუ-ის ეკონ. პოლიტიკის კათედრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი (2005-იდან), ეკონ. პოლიტიკის ქართ.-გერმ. ინ-ტის დამაარსებელი და დირექტორი (2006-იდან), ვაშინგტონის მეცნიერების პროგრესის ასოციაციის (1998-იდან), იტალიის გამოყენებითი ეკონომიკის ასოციაციის (2015-იდან), ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშ. აკადემიის (IABE) წევრი (2015-იდან) და მისი ვიცე-პრეზიდენტი (2016), ჟურნ. „International Journal of Global Sustainability (IJGS)“-ის სარედაქციო საბჭოს წევრი (2019-იდან). იყო თსუ-ის აკად. საბჭოს წევრი (2006–14).

გ-ის კვლევის ძირითადი სფეროა საქართვ. და მსოფლიო სხვა ქვეყნების ეკონ. პოლიტიკა; ეკონ. ინტერესების პრობლემა და გლობალური მეწარმეობის სტრატეგია და კულტურა. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2003), ივ. ჯავახიშვილის სახ. (2015), პ. გუგუშვილის სახ. (2020) და თბილ. სახელმწ. უნ-ტის ოქროს მედლები (2021).

თხზ.: ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბ., 2012 (თანაავტ. ი. გოგორიშვილი); სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში, თბ., 2017 (თანაავტ. გ. ერქომაიშვილი, ი. გოგორიშვილი, ე. ლეკაშვილი, ნ. ფარესაშვილი, ლ. ხურცია); გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში, თბ., 2018 (თანაავტ. ი. გოგორიშვილი); გლობალური მეწარმეობის პოლიტიკა და კულტურა, თბ.,

2020.